



სს თიბისი ბანკის სესხზე მიბმული
ავტომობილის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. **თქვენ** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება "შზღვეველთან" ("დამზღვევე");
- 1.2. **ჩვენ** - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" ("შზღვეველი");
- 1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე. წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის მოსარგებლეს ყოველთვის წარმოადგენს სს თიბისი ბანკი;
- 1.4. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება ჩვენსა და თქვენს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისაგან;
- 1.5. **სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია თქვენ მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები (პოლისი);
- 1.6. **დაზღვეული ავტომობილი** - პოლისში მითითებული თქვენს კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი;
- 1.7. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში (დაწყების და დასრულების თარიღების ჩათვლით);
- 1.8. **სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი. მითითებულია პოლისში, თითოეული სექციისათვის ცალ-ცალკე;
- 1.9. **საბაზრო ღირებულება** - დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე დაზღვეული ავტომობილის იდენტური მონაცემების მქონე სხვა ავტომობილს შეიძენთ;
- 1.10. **უპირობო ფრანშიზა** - ზარალის თანხის ნაწილი, რომელსაც ჩვენ არ ავანაზღაურებთ, აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაში;
- 1.11. **პირობითი ფრანშიზა** - ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელნი ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც არ აღემატება პირობითი ფრანშიზის ოდენობას, მაგრამ ავანაზღაურებთ ზარალს სრულად (წულოვანი ფრანშიზით) თუ იგი აღემატება პირობითი ფრანშიზის ოდენობას;
- 1.12. **ტერიტორიული საზღვრები** - საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიების;
- 1.13. **აქსესუარი** - ავტომობილის ნაწილი/დეტალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის - აუდიო და ტელე-ვიდეოაპარატურა, გართობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები და კომუნიკაციის სხვა სისტემები;
- 1.14. **ცალკეული დეტალები** - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები;
- 1.15. **სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი;
- 1.16. **სრული ზარალი/განადგურება** - ავტომობილის დაზიანება 70%-ზე მეტად (აღდგენის ღირებულება აჭარბებს საბაზრო ღირებულების 70%-ს) ან ავტომობილის ქურდობით გამოწვეული ზარალი;
- 1.17. **სადაზღვევო პრემია** - დაზღვევის ღირებულება (პრემია), რომლის ოდენობა განსაზღვრულია სესხის ხელშეკრულების გრაფიკით;
- 1.18. **გამომუშავებული პრემია** - პრემიის ის ნაწილი, რომელიც შესაბამისა დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;
- 1.19. **უფლებამოსილი მძღოლი** - პოლისში მითითებული მძღოლი, რომლის მიერ ავტომობილის მართვის დროსაც დაზღვევა

ძალაშია. უფლებამოსილი მძღოლის ასაკი უნდა აღემატებოდეს 21 წელს და გააჩნდეს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა;

- 1.20. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიაღდა ზიანი დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრების.

2. ავტომობილის ძარის დაზღვევა

- 2.1. **"პოლისი ავტოკლასიკი - სრული დაფარვით"** - ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის სრული ზარალი ან ნაწილობრივი ზარალი ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:
 - 2.1.1. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
 - 2.1.2. ქურდობა, ძარცვა, გატაცება, ყაჩაღობა და მათი მცდელობა;
 - 2.1.3. ხანძარი, აფეთქება;
 - 2.1.4. ვანდალიზმი, საგნების ვარდნა;
 - 2.1.5. სტაქიური მოვლენები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა;
- 2.2. თუ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო დაზარალებით:
 - 2.2.1. აგინაზღაურებთ დაზღვეული ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ან
 - 2.2.2. გადმოგცემთ იდენტური მახასიათებლების ავტომობილს ან
 - 2.2.3. გადაგიხდით ზარალის ადეკვატურ თანხას.
- 2.3. **ჩვენ** აგრეთვე ავანაზღაურებთ:
 - 2.3.1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის ევაკუირების ხარჯებს;

3. ავტომფლობელის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

- 3.1. პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში აგინაზღაურებთ თანხას, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა თქვენ წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების ან თქვენ მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაგეგმვათ თქვენ, უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებული ზარალისთვის, კერძოდ - მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანი (გარდა შემთხვევების, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით ან რომელიც იმყოფებოდა თქვენი/ მოსარგებლის მეთვალყურეობის ქვეშ);
- 3.2. ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;
- 3.3. **ჩვენ** ავანაზღაურებთ (ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში):
 - 3.3.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაზღვეული ავტომობილით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალისთვის, ან/და
 - 3.3.2. თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ თქვენსა და დაზარალებულ მესამე პირს შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 3.5.);
 - 3.3.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი ანაზღაურების ლიმიტის 20%-ს;
- 3.4. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან მესამე პირის

- მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი;
- 3.5. თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:
- 3.5.1. **მესამე პირის** ქონების დაზიანებისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
- თუ **მესამე პირის** ქონება მთლიანად განადგურდა – ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;
 - თუ **მესამე პირის** ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;
- 3.5.2. **მესამე პირის** ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
 - დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
 - დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 1 (ერთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.6. თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებმა რამდენიმე **მესამე პირი**, ხოლო **თქვენზე** დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადააჭარბებს **პოლისში** მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);
- 3.7. ავტომგზავლების **მესამე პირთა** მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება:
- 3.7.1. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
- 3.7.2. ნებისმიერი სახის სტიქიური მოვლენით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევა;
- 3.7.3. წმინდა ფინანსური ზარალი, როდესაც არ იკვეთება მესამე პირის ქონების და ჯანმრთელობის დაზიანება/განადგურება;
- 3.7.4. მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას/გარდაცვალებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდგომ;

4. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა

- 4.1. მე-4 პარაგრაფის მიხედვით დაზღვეულად მიიჩნევა დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი მგზავრი, მძღოლის ჩათვლით;
- 4.2. **პოლისში** მითითებული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის და ერთ პირზე ქველიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება ხარჯები, დაკავშირებული მგზავრების ან/და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებასთან ან/და გარდაცვალებასთან, რაც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით და გამოვლინდება სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში;
- 4.3. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდება/გარდაიცვლება ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი გადააჭარბებს **პოლისის** ანაზღაურების ლიმიტს,

ანაზღაურებას პროპორციულად მიიღებს თითოეული მხარე (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

- 4.4. სადაზღვევო შემთხვევისას:
- 4.4.1. **ჩვენ** შესაძლოა მოვითხოვოთ დამატებითი გამოკვლევების ჩატარება **ჩვენ** მიერ დანიშნულ ექიმთან. ამგვარი გამოკვლევები ჩატარდება **ჩვენი** ხარჯებით;
- 4.4.2. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოვითხოვოთ სამედიცინო ინფორმაცია იმ ექიმებისგან, რომლებსაც დაშავებულისათვის სხვადასხვა დროს ჩაუტარებიათ სამედიცინო გამოკვლევა ან მკურნალობა, მიუხედავად ჩივილის მიზეზისა. დაშავებული ვალდებულია, ნება დართოს ექიმს, გადმოგცეს **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს არ ავანაზღაუროთ დაშავებულს ზარალი;
- 4.4.3. ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს ოფიციალური სამედიცინო დოკუმენტები. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა, დავნიშნოთ (ჩვენი ხარჯით) ექიმი/ექსპერტი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად;
- 4.4.4. დაზარალებულის მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ დაკრძალვის ხარჯები;
- 4.4.5. თუ მძღოლი და/ან მგზავრები გარდაიცვალნენ ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდგომ;

5. საერთო პირობები

- 5.1. **თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზზე +995 322 505 111**
- 5.2. **ჩვენი** სერვის მენეჯერი მაშინვე ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას. თუ საჭიროა, სერვის მენეჯერი გამოიძახებს ევაკუატორს დაზღვეული ავტომობილის უსაფრთხო აღვილას გადასაყვანად (საქართველოს ტერიტორიაზე, სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას);
- 5.3. **ჩვენი** სერვის მენეჯერის მოსვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის გადაადგილება (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე);
- 5.4. **სადაზღვევო შემთხვევისას** აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია და წარმოადგინეთ შემთხვევის ამსახველი ყველა დოკუმენტი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ **ჩვენ** არ განვიხილავთ პრეტენზიებს ზარალის ანაზღაურებაზე, თუ შემთხვევის შესახებ დაგვიანებით გვაცნობთ. ამასთან ერთად ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფიზილის ფაქტს და ვინაობას; საპატრულო პოლიციის ოქმის წარმოდგენის ვალდებულება არ გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი დაზიანდა სტიქიური მოვლენებით, ან სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მხოლოდ ავტომობილის წინა საქარე მინა;
- 5.5. **საერთო გამონაკლისები.** ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:
- 5.5.1. გაუფასურება; ამორტიზაცია; ცვეთა; ქანგავა; კოროზია; მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკებით;
- 5.5.2. საზურავის დაზიანება, გარდა შემთხვევების, როდესაც აღნიშნული დაზიანება გამოწვეულია 2.1.1-2.1.5-ში მითითებული დაფარული რისკებით და ამავდროულად,

- ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია და ამგვარი დაზიანებების შედეგად ზარალის თანხა აღემატება შესაბამის ფრანშიზას;
- 5.5.3. ავტომობილის დაუდგენელ ვითარებაში გამოწვეული დაზიანება, თუ თქვენ ან უფლებამოსილი მძღოლი აღნიშნულის შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ არ დაგვიკავშირდა ჩვენ ან თუ ავტომობილი სადაზღვევო შემთხვევის ადგილიდან გადაადგილეს ჩვენი ნებართვის გარეშე;
- 5.5.4. ზარალი, გამოწვეული მესამე პირის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით;
- 5.5.5. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული ნებისმიერი ნებისმიერი ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, ასევე საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯები;
- 5.5.6. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული შეკეთება;
- 5.5.7. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ავტომობილის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე პირის მიზეზით);
- 5.5.8. რბოლებში მონაწილეობა, დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road);
- 5.5.9. დამზღვევი/მოსარგებლე/უფლებამოსილი მძღოლი განზრახ გამოიწვევს ან შეეცდება, გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა;
- 5.5.10. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამომხრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მძღოლის მსგავსი მოქმედება განპირობებულია მესამე მხარის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- 5.5.11. ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
- 5.5.12. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;
- 5.6. **ზარალის თავიდან აცილების მოვალეობა**
- 5.6.1. თქვენ ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული ავტომობილის დაზიანება;
- 5.6.2. მიიღეთ, გონივრულობის ფარგლებში, ყველა საჭირო ზომა მოპარული ავტომობილის დასაბრუნებლად და ზარალის შესამცირებლად;
- 5.6.3. დაზღვეული ავტომობილი უნდა იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში. ჩვენ გვაქვს უფლება მოვახდინოთ დაზღვეული ავტომობილის ინსპექტირება ნებისმიერ დროს, თქვენთვის აღნიშნულის თაობაზე სამი დღით ადრე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;
- 5.7. **საფრთხის ცვლილება.**
- 5.7.1. თქვენ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ, წერილობით შეგავატყობინოთ დაზღვეული ავტომობილის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემის, ავტომობილის გამოყენების და განაცხადში მითითებული პარამეტრების შეცვლის შესახებ;
- 5.7.2. დაზღვევა ძალაშია და ზარალი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება იმ დანიშნულებით, რომელიც მითითებულია პოლისში; იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის გამოყენება ტაქსის, გაქირავების (რენტის), ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანის მიზნით ზარალი არ ანაზღაურდება;
- 5.8. **სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ანაზღაურება**
- 5.8.1. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება

- დაზღვეული ავტომობილის ჩანაცვლების გზით, ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ ფრანშიზის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე;
- 5.8.2. თუ პრემიის გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა მოხდა პრემიის სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდელი პრემიის ოდენობა. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება ავტომობილის ჩანაცვლების გზით, ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ გადაუხდელი პრემიის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე;
- 5.8.3. სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, სადაზღვევო თანხა შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხების და ფრანშიზის ოდენობით;
- 5.8.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სრული ზარალის შემთხვევაში, ზარალის ოდენობას გამოაკლდება ფრანშიზა და უკვე ანაზღაურებული თანხები (თუ სადაზღვევო შემთხვევა იყო და შემდგომში სადაზღვევო თანხა აღდგენილ არ იქნა);
- 5.8.5. ჩვენ მიერ ანაზღაურებული თანხა არ გადააჭარბებს ზარალის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებას;
- 5.8.6. დაზიანებული ან/და მოპარული აქსესუარებისათვის თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხისა;
- 5.8.7. სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნებისმიერი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
- 5.8.8. ზარალის ანაზღაურების მიზნით, ჩვენ უფლება გვაქვს დაზღვეული ავტომობილის შეკეთების ხარჯები / ზარალის ადეკვატური თანხა გადავიცხოთ პირდაპირ იმ სარემონტო/შემკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც იქნება წარმოდგენილი დამდგარი ზარალის კალკულაცია (პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით);
- 5.8.9. თუ თქვენ უარს იტყვით ჩვენ მიერ შეთავაზებულ ავტომშენებელზე სერვის ცენტრის მომსახურებაზე და თავად შეარჩევთ ავტოსერვის ცენტრს დაზიანებული ავტომობილის შესაკეთებლად, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება ჩვენ მიერ შერჩეული ავტოსერვის ცენტრის მიერ მომზადებული კალკულაციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, თუ რა კალკულაციას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული სერვის ცენტრი;
- 5.8.10. ჩვენ უფლება გვაქვს სრული ზარალის შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურების მიზნით, ჩავანაცვლოთ დაზღვეული ავტომობილი იდენტური სპეციფიკაციის ავტომობილით (ავტომობილის ქურდობა/გატაცებისას უფლება გვაქვს ავანაზღაუროთ ზარალი მოცდის პერიოდის, ორი თვის გასვლის შემდეგ, თუ ვერ მოხერხდება მოპარული/გატაცებული ავტომობილის დაბრუნება);
- 5.8.11. **სარემონტო ხარჯების კალკულაცია.** ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები დგინდება ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, თქვენთან შეთანხმებით;
- 5.8.12. ანაზღაურებას არ ექვემდებარება სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- 5.8.13. თუ დაზღვეული ავტომობილის ასაკი არ აღემატება 3 (სამი) კალენდარულ წელს და შეძენილია შესაბამისი ბრენდის ოფიციალურ დილერთან, ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას დავეყრდნობით აღნიშნული ბრენდის ოფიციალური დილერის კალკულაციას. 3 წელს ზემოთ ასაკის ავტომობილი შეფასდება არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე და მასში გათვალისწინებული არ იქნება ოფიციალური დილერის კალკულაცია და ფასები;

- 5.8.14. თუ დაზღვეული ავტომობილის ასაკი აღემატება 3 (სამი) წელს და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარება აღდგენას – ჩვენ ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას; ამასთან, თუ დაზიანებული მინისათვის საჭარბო ზაზარზე შეუძლებელია მეორადი ორიგინალი მინის მოძიება, ავანაზღაურებთ აღნიშნული დაზიანებული მინის ახალი არა-ორიგინალი მინით ჩანაცვლების ღირებულებას;
- 5.8.15. თუ დაზღვეული ავტომობილის ასაკი აღემატება 15 (თხუთმეტი) წელს და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარება აღდგენას – ჩვენ ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას ან ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების არა-ორიგინალი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას;
- 5.8.16. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა, ჩვენ უფლება გვაქვს, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოვკვეთოთ მისი ნარჩენი ღირებულება (სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი) და აღნიშნული ავტომობილი დარჩება თქვენს საკუთრებაში;
- 5.8.17. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იღებთ კომპენსაციას დამნაშავე პირისგან და ეს კომპენსაცია აღემატება ფრანშიზის ოდენობას, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციასა და ფრანშიზას შორის სხვაობის ოდენობით;
- 5.8.18. წერილობითი განცხადება ზარალის შესახებ უნდა მოგვაცოდოთ სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზარალი;
- 5.9. **პროპორციული ანაზღაურების მეთოდი.** თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისათვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება აღმოჩნდა სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ ზარალის ანაზღაურება მოხდება დაზღვეული ავტომობილის სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების პროპორციულად, იმგვარად რომ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდეს იმ პროცენტს რეალური ზარალისა, რამდენიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებაში;
- 5.10. **თქვენი მოვალეობანი.** იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ რაიმე სახის პრობლემა (ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით) ან დაგვიანება თანხის ანაზღაურების პროცესში, აუცილებლად უნდა შეასრულოთ რამდენიმე პირობა, კერძოდ:
- 5.10.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოთ საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 5.10.2. დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ ჩვენს ცხელ ხაზზე (+995 322 505 111) და მოგვაცოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 5.10.3. დაგვიკავშირდეთ, თუ ამ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე პირის წინააღმდეგ ტარდება იურიდიული ზომები სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე;
- 5.10.4. არასდროს აიღოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა თქვენს თავზე ჩვენთან წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- 5.10.5. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მიერ ანაზღაურდება (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლა, თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ დაზიანებული ნაწილების განკარგვის უფლება;
- 5.10.6. თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა და ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს სრულად (ფრანშიზის გამოკლებით), თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ დაზიანებული ავტომობილის განკარგვის უფლება;
- 5.10.7. არ დაიწყეთ სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული ავტომობილის შეკეთება ჩვენთან შეთანხმების გარეშე;
- 5.10.8. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მოგვაცოდოთ ზარალის დარეგულირებისათვის აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები

- ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლებამოსილი ვართ, უარი განვაცხადოთ ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;
- 5.10.9. გააცნოთ უფლებამოსილ მძღოლებს წინამდებარე დაზღვევის პირობები;
- 5.10.10. დაზღვევამდე წარმოგვიდგინოთ ავტომობილში დამონტაჟებული არა-ქარხნული დეტალების/ მოწყობილობების ჩამონათვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ავანაზღაუროთ ზარალი, გამოწვეული აღნიშნული არა-ქარხნული დეტალების / მოწყობილობების / აქსესუარების დაზიანებით/ ქურდობით;
- 5.11. **ჩვენი მოვალეობანი.**
- 5.11.1. ავანაზღაუროთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;
- 5.11.2. თქვენი სახელით წარვმართოთ და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების პროცესი;
- 5.11.3. საჭიროების შემთხვევაში, თქვენთან შეთანხმებით გავაკონტროლოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი იურიდიული პროცესი;
- 5.11.4. გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება ჩვენ მიერ ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღებიდან და ზარალის ოდენობაზე შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 5.12. გაყალბება. თუ თქვენ ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გაყალბებთ ან შეეცდებით, რომ გაყალბოთ სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), ჩვენ უფლება გვაქვს არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც თქვენ შეგნებულად ზრდით ზარალის ოდენობას ან გავავადით ყალბ ინფორმაციას;
- 5.13. **ორმაგი დაზღვევა.** თუკი წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა პოლისით, ჩვენ გადავიხდით ზარალს პროპორციულად, ჩვენი სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად;
- 5.14. **პრემიის გადახდა:**
- 5.14.1. თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;
- 5.14.2. სესხის ხელშეკრულებაში გაწერილი სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, პოლისი ექვემდებარება ჩვენ მიერ ცალმხრივად გაუქმებას თუ ვადაგადაცილებულია 3 თანამიმდევრული ტრანში სესხის გრაფიკის შესაბამისად და/ან დავალიანება აღემატება 100 დღის გამომშავებულ პრემიას. პოლისის გაუქმებამდე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;
- 5.14.3. ჩვენ ვთავისუფლებით ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე არ არის გადახდილი პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პრემიის პირველი შენატანი;
- 5.15. **რეგრესი.**
- 5.15.1. თქვენ ან მოსარგებლე ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ გადამოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;
- 5.15.2. თუ თქვენ ან მოსარგებლე უარი განაცხადებთ ჩვენთვის რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც ავანაზღაურებთ ჩვენ ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელია გახდეს თქვენი ან მოსარგებლის ქმედებით, მაშინ ჩვენ ვთავისუფლებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან და უფლება გვქვს მოვითხოვოთ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება;

- 5.16. **ხელშეკრულების პირობების შესრულების ვალდებულება.**
- 5.16.1. **ჩვენ** მხოლოდ იმ შემთხვევაში ავანაზღაურებთ ზარალს, თუ **თქვენ** და **მოსარგებლე** იცავთ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** ან/და **მოსარგებლე** არღვევთ ამ ხელშეკრულების პირობებს, არ ასრულებთ ამ პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან გვაწვდით დაზღვევასთან დაკავშირებულ არასწორ ინფორმაციას, **ჩვენ** უფლება გვაქვს გადავცეთ ინფორმაცია **თქვენ** შესახებ საერთო საინფორმაციო ბაზაში, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც;
- 5.16.2. **თქვენ** მიერ პოლისით განსაზღვრულ უფლებამოსილ მძღოლზე, ასევე პირზე რომელსაც ავტოსატრანსპორტო საშუალება ნებისმიერი მიზნით და საფუძვლით გადაცემული აქვს თქვენგან/უფლებამოსილი მძღოლისაგან (მათ შორის შრომითი ურთიერთობის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალების ქირავნობის/იჯარის/თხოვნის და სხვა ნებისმიერი წერილობითი თუ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე) სრულად ვრცელდება ის ვალდებულებები და გამონაკლისები რაც დადგენილია წინამდებარე დაზღვევით, შესაბამისად მათ მიერ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული ქმედებების შეუსრულებლობისას ან/და ისეთი ქმედებების განხორციელებისას რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ან/და წინამდებარე დაზღვევის პირობებით არ ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას - **ჩვენ** მიერ ანაზღაურება არ გაიცემა.
- 5.17. **დაზღვევის გაუქმება**
- 5.17.1. თუ **თქვენ** გასურთ გააუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება, უნდა გამოგვიგზავნოთ წერილობითი შეტყობინება გაუქმების თაობაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში ვალდებული ხართ გადაიხადოთ გამოქმუშავებული პრემია (გაუქმების თარიღისათვის) და დამატებით 1 თვის შესაბამისი პრემია (გარდა შემთხვევებისა, როდესაც **ჩვენ** ვარღვევთ ხელშეკრულების პირობებს).
- თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში **თქვენ** ავანაზღაურდათ ზარალი, გაუქმებისას **თქვენ** ვალდებული ხართ გადაიხადოთ პრემია სრულად. ამავე დროს, უკვე გადახდილი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება;
- 5.17.2. **ჩვენ** უფლება გვაქვს ცალმხრივად გავაუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება, რის შესახებაც გამოგვიგზავნით წერილობით შეტყობინებას გაუქმებამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დასაბრუნებელი პრემია დაანგარიშდება ჯამური პრემიიდან გამოქმუშავებული (გაუქმების თარიღისათვის) ნაწილის გამოკლებით;
- 5.18. წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით **თქვენ** ადასტურებთ, რომ **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ **თქვენი** და **პოლისით** გათვალისწინებული უფლებამოსილი მძღოლების მხრიდან დამატებითი თანხმობისა და უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, მივმართოთ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მივიღოთ **თქვენსა** და/ან წინამდებარე **პოლისით** გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებამოსილ მძღოლზე (რომელთაგან იდენტური თანხმობა/ავტორიზაცია მიღებული გაქვთ, თავის მხრივ, **თქვენ**) არსებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ;
- 5.19. **დაზღვევის განახლება.** დაზღვევის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე პერიოდით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ წერილობით არ განაცხადა მისი შეწყვეტის სურვილი. განახლებული პირობები გეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (SMS);
- 5.20. **დავების გადაწყვეტა.** დაზღვევის ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- 5.21. **დამატებითი მომსახურება:** მსუბუქი ავტომობილების დაზღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია გზებზე უფასო ავტო-ასისტანსი არასადაზღვევო შემთხვევის დროს - აღნიშნული მომსახურების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ერთხელ ყოველი 24 საათის განმავლობაში. ავტოასისტანსის გამოსაძახებლად უნდა დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე 2 505 111 და შეგვაცუობინოთ შემთხვევის შესახებ. ავტოასისტანსის მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.gpih.ge ან ჩვენი ცხელი ხაზის მეშვეობით.
- დამატებითი მომსახურება მოქმედებს თბილისის, ბათუმის ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის ტერიტორიაზე და მათ შემოგარენში 25კმ რადიუსის მანძილზე;
- 5.22. **დამატებითი პირობა - „დაჩქარებული სერვისი“:**
- 5.22.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დაზღვევის პირობების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას, **ჩვენ** გაცემთ აღნიშნულ ანაზღაურებას დაჩქარებული წესით, კერძოდ ზარალის შესახებ განაცხადის შევსებიდან 5 სამუშაო დღეში.
- 5.22.2. „დაჩქარებულ სერვისს“ დაექვემდებარება სადაზღვევო შემთხვევები:
- სადაც ზიანის მოცულობა არ აღემატება 3000 ლარს;
 - რომლებშიც არ არის ჩართული კრიმინალური პოლიცია ან/და არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე;
 - სადაც მონაწილე დაზღვეული/დამზღვევი/ მოსარგებლე/ მესამე პირი არ არის უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- 5.22.3. იმისათვის რომ **ჩვენ** შევძლოთ დაჩქარებული სერვისის გაწევა, საჭიროა:
- **თქვენ**, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილი, **ჩვენ** მიერ მითითებულ შემფასებელ სერვის ცენტრში შესაფასებლად მიიყვანოთ სადაზღვევო შემთხვევიდან მაქსიმუმ მეორე სამუშაო დღეს;
 - დაცული იყოს შემთხვევის (ზარალის) წერილობით/ ელექტრონულად გაცხადების ვადები და დასტურდებოდეს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დროს **თქვენ/** უფლებამოსილი მძღოლი /მოსარგებლე სრულად ასრულებს, მასზე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
 - დაზღვევის განაცხადში **თქვენ** მიერ მოცემული ინფორმაცია ავტომობილის გამოყენების ტიპის შესახებ (პირადი, გაქირავება, კომერციული) **ჩვენ** მიერ მოძიებული ობიექტური მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება;
- 5.22.4. პუნქტ 5.22-ში ჩამოთვლილი ერთ-ერთის პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, **ჩვენ** ვიხელმძღვანელებთ და ასეთ შემთხვევებს დავარეგულირებთ ხელშეკრულებაში მოცემული პირობების და ვადების შესაბამისად.
- 5.23. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშენის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.